



ეროვნული თავისუფლების ბრძოლა - ქართველი თავისუფლებისმოყვარე
ქართველი თავისუფლების ბრძოლა - ქართველი თავისუფლებისმოყვარე

ქართველი
საქართველო

საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.
საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია.
გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№76 (1586) 26-29 ივლისი, 1997 წელი

პოლემიკა

უნივერსალოვანს საკითხებზე

„საით მიდის საქართველო“

კიდევ ბატონ

ალ.ჭაჭიას პასუხად

➔ 2

საქართველოს

კანონი

განათლების

შესახებ

➔ 3

1996 - 1997

სასაფლაოს

პრობლემა

ანუ

განაგაგია

სიცოცხლის

შედეგ...

➔ 7

„აფხაზური მხარე, რომლის ყოველთვის, თავსედად მოიქცა“

აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი „იფრინდა“-ს კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ უნეუვის შეხვედრაზე აფხაზური მხარე, როგორც ყოველთვის, თავხედურად მოიქცა, რაც იმაში გამოიხატა, რომ აფხაზებმა შეხვედრაზე დააგვიანეს და მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნები იძულებულნი გახადეს მათთვის ეცადათ.

თნადარეიშვილის თქმით, მოლაპარაკებებზე აფხაზური მხარე წინააღმდეგი წაიდა შეხვედრებში საქართველოს მეგობარი ქვეყნების (აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია და სხვა) მონაწილეობისა. მისივე თქმით, აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ ქართველები აგრესორებად გამოიყვანა. კერძოდ, მან მოიყვანა ციფრები ქართველთა მიერ ჩადენილი გენოციდის შესახებ. ამის პასუხად, ქართულმა მხარემ სინამდვილის დამადასტურებელი ფაქტები წარადგინა. „აფხაზებმა კიდევ ერთხელ დაანახეს გაეროს და ეუთოს, თუ ვისთან გვაქვს საქმე“ - განაცხადა თნადარეიშვილი. მისივე თქმით, მიუხედავად ასეთი დაძაბული შეხვედრისა, შესაძლო კომპრომისის გამოსაძებნად 25 ივლისს, მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკებები.

მოლაპარაკებები უნეუვაში გრძელდება. (იფრინდა)

ფრაქცია «აფხაზეთი»-ს ლიდერი კომენტარს საქართველოს ხელისუფლებისაგან ითხოვს

საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთი“-ს ლიდერი გერმანე ფაცაცია გუშინ გაეროზე გასული მიმართულებაში უკმაყოფილებას გამოთქვამს 23 ივლისს, უნეუვაში, საქართველოს მეგობართა ჯგუფის მიერ გაკეთებული განცხადების გამო. მასში კერძოდ ნათქვამია: „მხარს უჭერთ აფხაზეთში პოლიტიკურ გარდაქმნებს, რომლებიც შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს და რომლებსაც საფუძვლად უდევს ადამიანის, მათ შორის, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების უფლებათა პატივისცემა“.

აღნიშნულთან დაკავშირებით, ფრაქცია „აფხაზეთი“ კომენტარისაგან თავს იკავებს, მაგრამ დაუინებოთ მოითხოვს კომენტარს იმათგან, რომლებიც ამგვარი მეგობრებით იწყებენ აფხაზეთის შემოერთების მომდევნო, მრავალწლიან, ინტერნაციონალიზებულ „ახალ ეტაპს“. (იფრინდა)

